N გ-22-03/634
15/03/2022

634-გ-22-03-2-202203151054

სს „სილქნეტს“
შპს „მაგთიკომს“
შპს „ახალ ქსელებს“
შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“
შპს „მედია რაითს ჯორჯიას“
შპს „ტელეიმედს“
სს „მედია ჰოლდინგს“
შპს „მთავარ არხს“
შპს „ტელეკომპანია პირველს“
შპს „პოსტვ-ის“
შპს „ფორმულას“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2022 წლის 18 მარტს, 15:00 საათზე გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში: „კომისია“) ახსნა-განმარტების სხდომა „სს „სილქნეტის“, შპს „მაგთიკომის“, შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის“ საჩივრების დასაშვებად ცნობისა და შპს „მედია რაითს ჯორჯიას“, შპს „ტელეიმედის“, სს „მედია ჰოლდინგის“, შპს „მთავარი არხის“, შპს „ტელეკომპანია პირველის“, შპს „პოსტვის“ და შპს „ფორმულას“ მიმართ საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 სექტემბრის (N გ-21-16/545, 30/09/2021) გადაწყვეტილების შესაბამისად დაწყებული საქმის მოკვლევის ფარგლებში. გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, კომისია უფლებამოსილია, საკითხი განიხილოს სხდომაზე მხარის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშეც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-3 მუხლის შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და

სხვა მასალების ასლები, მოითხოვოთ ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება.

გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადასულია დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენ მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის მისამართზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზე შეტყობინებაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე, კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები აგრეთვე გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია